დადგენილება #3/2024 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

დადგენილება №3/2024
თარიღი: 16 თებერვალი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ს“ პუნქტის, 34–ე მუხლის მე–3 პუნქტის, კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ლეილა მარუაშვილის (განცხადების რეგისტრაციის № **257/22.** 14.02.2024 წ.) განცხადებისა და სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №4),

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით, სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პროფესორს ლეილა მარუაშვილს შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება .

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 64);

დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი